

JK 832 E  
1949

საქორთველო  
ცისამართობრივი მინისტრი

მდგრადი სამ. სო. სო. - დი. პარტიის საჯდომართო ბიურო.  
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

# ჩვენი დროშა

"NOTRE DRAPEAU"

დაარსებულია 1919 წლის 1 იანვრის 8 00 ამ.

1 8 3 0 6 3 0                  3 1 6 0 9 0

1979

Nº 93

შ 0 6 1 1 რ ს 0 :

მიმართვა ქართველ ერს.

6. უორდანია.

7. გეგეჭყორის გარდაცვალებიდან 25 წლისთვის.

8. გეგეჭყორის.

8. უიფიანი.

ახალი ევროპა.

XX

შორეულ აღმოსავლეთში

XX

უბილავას ფანტაზიები.

9. ბადრიძე.

ქართველები რუსეთში

XX

მიხეილ ქაფთარაძის წერილი გამო

პროფ. გ. ნაკაშიძის წერილი ს-დ. პარტიის ბიუროს.

26 მაისი პარიზში და სოშოში.

მირ. მელუა.

მარტიანე მელაძე (ნეკროლოგი).



## მიმართვა ჩართველ ერს

ამ წერილით მიმართა ქართველ ხალხს მთავრობის  
თავმჯდომარებ ნოე ეორდანიამ აჯანყების შემდეგ.  
ნოემბერში 1924 წ.

საქართველო აჯანყდა.

საქართველო დამარცხდა!

ა ირი უდიდესი მოვლენა, არმლის მსგავსი საქართველოს არ განუცილა კარგა ხანა.

საქართველო ხშირათ აჯანყებულა ისტორიულ წარსულში სპარსთა უღელის წინააღმდეგ.

მას არა ერთხელ ამოუღია ხმალი თვის ეინაობის დასაცავად.

ქართველი ერი მუდამ ბრძოლით მოდიოდა წილუქელის გზაზე. ის ხან მარცხდებოდა, ხან იმარჯვებდა. და-მარცხება მას გულს არ უტეხდა. გამარჯვება არ ამნევდა.

საქართველოს აჯანყების ჩაქრიობით ის გაკოტრდა მორალურათ. მან გადააჭარბა ყოველ თვითმმართველთა მტარებლებას.

ისტორიის შევ დაფაზე აღმეცდილა პოლონეთის აჯანყების (1863 წ.) ჯალათა მურავიოვი, მარა ეს პირი უმანკო ბალლია შედარებით საქართველოს დღევანდელ ჯალათებთან, სტალინ - ორჯონიქიძეებთან. ამათ ზუაყნეს ქართველი ხალხის სისხლის ტბა და შიგ ცურაობენ სიკილ - ხარხარით.

სანამ ქვეყნად იქნება ქართველი ერი, მისი გულიდან არ ამოიცხერება ეს საშინელი ხელრი.

დავიწყების ზეწარი გადაეფარება ლანგოზმურის შემოსევას, შახაბაზის აკლებას. არ დაიგიწყება მხოლოდ სისხლის მსმელთა ბრძო დღეს საქართველოში მოკალათებული. სიმხეც მათი გაუგონარი, საუკუნოებს გადაეცემა.

დღეს ქართველი ერი გლოვის ძაძებშია გახელული. ის დასტირის ვარაგულათ დაღუპულ საუკეთესო შეილთ. მოიგონეთ ძველი თქმულება :ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითჭირსა! ნუ სტირით, მომავალი ჩვენია!

გადახცდეთ ჩვენს ისტორიას; სადღა არიან საქართველოს ძეველი მტარვალნი? უამთა ბრუნვაშ მათ გაუთხარა საფლავი.

მახვილის ამღებნი მახვილით დაეცემან. ამ განაჩენს ვერ ასცდება მტარვალი...

ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება, გამავრება და მომავლისაკენ იმედიანათ გახდეთ.

მისთვის მოსკოვი სამუდამოდ მოკვდა. ახლა ბრძანაც კი აქნილ თვალი და დაინახა სისხლით დამთვალი ტირანი. ჩვენსა და მას შორის უკვე გზა არის კლდიანი.

ქართველი ერი დღეს სამუდამოთ გამთელდა. საერთო უბედურების ერთ ემბაზში მონათლული, ის დღს ერთი დროშის ქარშ. ერთი აზრით, ერთი გრძნობით გაეცემოთ კლა. მისი სიმტკიცე მისი ერთობა და ამ დროშისთვის ერთგულობა მას მიანიჭებს საბოლოოთ გამარჯვებას.

და აი ერთი საუკუნის მოსკოვების შემდეგ, მის ხელში ხმალმა კელავ გაიერეა, ის ამეტყველდა ძველებურათ, ქართველურათ და ქვეყანას ამცნ თავისი ფიქრი და მისწრაფება მამაცურათ.

რა თქვა მან?

ქართველმა ხალხმა სისხლით დასწერა ცხოვრების ფურცელზე, რომ მას სურს იყოს საკუთარი თავის პატრონი, თავისი ქვეყნის ბატონი. ხალხი დგება და ეპატრონება ძალა - უფლებას.

ბორჯილ დადებული დემოკრატია ამტვრევს ჯაჭვს და აცხადებს თავისუფლებას.

ეს არის უაღრესათ ხალხური აჯანყება.

ხალხის გამარჯვება, ხალხის გაბატონება, თავისთავათ ნიშნავს მოსკოვის საქართველოდან განდევნას. დაკარგული სახელმწიოდების აღდგენას.

საკუთარი სახელმწიფო — აი რა მოითხოვა აჯანყებულმა ერმა.

ეს არის უაღრესათ ეროვნული აჯანყება.

„თავისუფალი საქათველო, თავისუფალი ხალხით!“

მეღგრად გაისმა ქვეყნად აგვისტოს გასულს და ამ ყიუ-

ნამ უეაშფოსა ბნელეთის მოციქული მოსკოვი და ზისი  
 დაქირავებული აგენტები.

გაახარა ყველა დანარჩენი, მთელი კაცობრიობა, სი-  
 პართლისა და თავისუფლების მოტრიფიალენი.

მოსკოვმ ნიღაბი საქვეყნოდ აიხადა და დაფარული  
 სისხლიანი პირი დასანახავათ გახადა, ის წინედ კიდევ  
 ბოლიშობდა, ძველი რეენის დამცველნი გვაიძულებენ  
 ტერორს მივმართოთ.

ახლა კი გამოჩნდა, რომ ერს და დემოკრატიას ის ეომე-  
 ბა გაცილებით უფრო მკაცრათ, გაცილებით უფრო შეუ-  
 ბრალებლათ. ადამიანის და მოქალაქის უფლების მოთ-  
 ხოვნაზე მან საქართველოს უპასუხა ზასიური ულეტით,  
 უმნეკო სისხლის მდინარეებით.

საქართველოს დაპყრობით ბოლშევიკები გაკოტრდენ  
 პოლიტიკურად; ის დაადგა მეფეთა საგარეო პოლიტიკას.  
 მისი მცნება უნდა გახდეს გალილეის გმირული სიტყვები  
 ის ჯალათის წინაშე უშიშრად იმეორებდა: „მაინც  
 ბრუნაეს!“ — ო.

დიახ საქართველო „მაინც ბრუნაეს!“ ეს ნათელჰყო  
 აგვისტო-სექტემბრის ამბეჭდე მსოფლიო გამოხმაურებამ.  
 არც ერთ პატარა ერს არ ღირსებია ასეთი საყოველთავო  
 თანაგრძნობა. მისი განთავსისუფლება უეჭველად მოხდე-  
 ბა. როდის — ეს სხვა საკითხია. აჩქარება არ გვთარობს.  
 რაც დრო მიდის მოსკოვი სუსტდება, და უფსკრულისა-  
 კენ მიექანება. მისი მესაფლავე წარმოსდგება შიგნიდან  
 თუ გარემოდიდან — ეს ჩვენთვის სულერთია. ორივე შემ-  
 თხვევისათვის მზათ უნდა ვიყოთ, მზათ უმთავრესათ მო-  
 რალურიათ, მტერს მტრულად მუდმივ ბოლომდე.

შიში არ იცის მებრძოლმა ერმა. ერთი დალუბულის  
 ადგილის ასი ჩნდება. სულიერ მონობას ჩვეული არ არის  
 ქართველობა. ის თვალშეული: და თვალშილული შოდის  
 ეკლიან ვზაზე. ის იძულებულია დროებით მოითმინოს  
 ძალმომრება, მარა მას არასოდეს არ აღიარებს სასურ-  
 ველ მოვლენათ.

იქ ირექება გლოვის ზარი; იქ ილოცება წამებულთა წი-  
 ნაშე და იდება ფიცი, ფიცი გაუტეხარი...

საქართველოს საკურტხეველზე დიდი მსხვერპლია მი-  
 წანილი; იქ ანთებულია ლამპარი სისხლით მორწყული;  
 საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე  
 ნოე უორდანია.

ნოემბერი. 1924 წ.

---

## ევგენი გეგეჩკორის გარდაცვალებიდან 25

### ჭლის აღსანიშნავი (მცირე მოგონება).

ოცდახუთი წელია რაც მამაჩემი გარდაიცვალა, რამ-  
 დენი დრო მიღის და ხანში შევდივარ, უფრო მეტად გან-  
 ვიცდი მის დაშორებას. მისი ცხოვრების მოგონებები მიპ-  
 ყრობს, მისი სახე თვალწინ მეხატება, ხან მატებობს, ხან  
 სევდა მაღონებს. მამაჩემი მეტად მგრძნობიარე აღამიანი  
 იყო; სხეისი ტკივილი საკუთრი თვეის სატკიცრად მიაჩ-  
 ნდა, კანიცდიდა სხეის გვირვებას. შეიტყობდა თუ არა  
 ვინმეს ავალმყოფობას მაშინვე გაეშურებოდა მის სანა-  
 ხავად. საღამობით მუდამ იმაზე იყო საუბარი სახლში,  
 თუ ვინ რა გაჭირვებაშია, ვინ როგორ ცხოვრობს.

მამაჩემს თვეის მდგომარეობით გავლენა პჟონდა ფრან-  
 გულ აღმინისტრუციაში; თუ ვინმეს რაიმე დაბრკოლება,  
 ან უსიამოვნება შეემთხვეოდა, მამა მზად იყო ეშუამდ-  
 გომთა.

განუსაზღვრელი იყო მამაჩემის სიყვარული სამშობ-  
 ლოს მიმართ. ხშირად მოგვითხრობდა ს. მარტვილის ამ-  
 ბებს, გვაცნობდა ჩევნი სოფლის ცხოვრებას.

როცა რუსებმა დაგვიპყრეს მამა საფრანგეთში იმყო-  
 ფებოდა, დაუყონებლივ გამოეშურა სამშობლოსაკენ.  
 ჩვენ ბათუმში ვაგონებში ვცხოვრობდით, მამას დანახ-  
 ვაზე, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ პჟონდა, მოსვლის-  
 თანავე თითოეულად გაგვამხნევა. არასოდეს დამავიწყ-  
 დება, პატარა ვიყავი და სიხარულით ხელებს უკოცნიდი.  
 მერე ვაგონებიდან გემიძლე ღამით გამოვიარეთ, მგზავ-  
 რობის შემდეგ საფრანგეთში დაესახლდით. მამა დღისით

საერთო საქმეებზე მუშაობდა, თან ჩვენზე ზრუნავდა. ამ მხრივ დედის ყოველ მხრივი დახმარება ძვირფასი იყო მის თვის, მან შავ სამუშაოს მოჰკიდა ხდებოდა. მამას ბევრი მეგობრები ჰყავდა, რომლებიც გვერდში ედგნენ და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. ჩემი ძმის სოსიეროს დაკარგვამ საშინალი იმოქმედა მამაჩემზე, 17 წლის ვაჟის სიკვდილმა მას სამუდამოდ დაუსევდიანა გული, დადიოდა დალვრემილი და ჩვენ გვიმალავდა თავის უსაზღვრო მწერსარებას.

ერთ დღეს გავუხედე და ვუთხარი: „მამა ექიმს ეჩვენე მეთქი“ „რას მიზამს შეილო ექიმი“ - ო... „შემდეგ გავიგეთ, ის უკვე ყოფილყო ექიმთან; აღმოაჩნდა გულის მძიმე ავალმყოფობა.

იმ დროს, როდესაც ის სხვა ერების წარმომადგენლებს ელოდებოდა, გულმა უღალატა და ასე მოულოდნელად გამოესალმა სიცოცხლეს.

**მართა გვეგმიკორი - სტურუასი.**

### ეპგენი გეგეჭკორის

**გრდაცვალებიდან 25 წლის აღსანიშნავი.**

ქართული საქმის გბრწყინვა ხელოვანს,  
 სამშობლო ქვეყნის დიდ მოქანდაკეს  
 ვაბარებთ მიწას. მიწაც ვერ ზიღავს  
 სახელს, გამოზრდილს თბილისის მზიდან.

ბრძოლების გზიდან მხე გადავარდა,  
 ია და ვარდმა შეძისა კუბო,  
 ხმა საუკუნოდ, ხმა მეტრელმეტყველი,  
 დროთა ჭიდილში ველარ საუბრობს.

სამფერ დროშებში არხევდი ზარებს,  
 ზარებს მლელვარეს თამარის ხნიდან.  
 ციური ლოცვა სამშობლო ქვეყნის  
 სიონის სხივებს რომ მოესმინა!

ნოეს გაპყევი, საქმით ერთგული  
 შეუღლებული, უწყინარ ბელით  
 ცეცხლად დამწერი და ანთებული  
 ახალ ბრძოლების წინამორბედი.

აწ განისვენე მზის სანაპიროს;  
 იყავი ლმობი, ბრძოლებით კუშტი, —  
 ჩაჰურა საფლავში უხეშ ლიტვინოვს  
 ჯიქურ დაკრულ ქართული მუშტი.

იქნების ვიყავ პატარა ბიჭი,  
 ვეჭიდებოდი მე უხრელ მუხას,  
 უკვდავი ნიჭით დიდო დესპანო,  
 შენ შეეუღლე თვით საბა სულხანს.

ვერ დაგიტირბს სიმართლის ტრფობა,  
 ქართული ტანჯვის ჯვარზე ოტანა!  
 რადგან განაგებს კაცობრიობას  
 „სამი დიდი“ და ერთი გველტანა!

მხოლოდ შორს... იქით, ცის დასავალში  
 თბილისს რომ სევდით ალელვებს მტკვარი,  
 კვლავ ატირდება ისე ვით ბავშვი  
 წითლ სხეულზე მზე გადამწერი.

რამდენი კუბო მტრებით ავწიეთ,  
 რამდენჯერ ბელმა გვიმუხხოლა კიდევ!  
 ისევ ვიმარჯვებთ დროებს აწინდელს,  
 თუ ცრემლთა ზღვაში არ გავიყინეთ!

დრო გადაივლის, დრო გვატრიალებს,  
 სურათი მძიმე უდროო ჯვარუმის!  
 სახელი თქვენი — მემატიანე,  
 სამარე — სევდა ქართული ტანჯვის.

გ. ყიფიანი. 1954 წ. — პარიზი.

## ახალი ეპოქა

ევროპის გაერთიანების საკითხი ძველია, თუ შორეული წარსულის ცდებს არ გავიხსენებთ, ბევრი ცნობილი პოლიტიკური პიროვნებები იბრძოდებნენ მის განხორციელებისთვის, ასეთებია ვიქტორ ჭიათურა, უორესი, ბრიანი და სხვები... ძნელად თუ ვინმეს გაულაშვილია გაერთიანების წინააღმდეგ, ხოლო მის სასარგებლოდ იწერებოდა სტატიის გამოჩენლი სოციოლოგების და პუბლიცისტების მიერ....

უკანასკნელ წლებში უფრო და უფრო მწვავედ დადგა საკითხი მისი გაერთიანების, რაც განაპირობა აღმოსავლეთიდან მოწილილ საშიშროებამ.

მე 17 საუკუნიდან დაწყებული მოსკოვს ხელი არ აუღია არასტროს თავის განზრახვაზე, — გაეფართოებია თავისი საზღვრები, იმდენად წამოიწია ევროპასთან საზღვარი, რომ იგი პარიზთან უფრო ახლოა ვინემ მოსკოვთან. საბჭოთა სამხედრო პოტენციალმა გადააჭარბა 50 პროცენტით ამერიკას... ხოლო მოსკოვის იმპერიალისტური ზრახვები უდავოდ მიჩნეულია ყოველივე განირაღების ხელშეკრულებებში და მოლაპარეკებებებში. მოსკოვისათვის ყველა ესენი საფარია იმ ზომებისათვის, რომელსაც იგი ახდენს აზია--აფრიკაში თავის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად...

დღეს მომხდარი დასაცლეთ ქვეყნების გაერთიანება უსათუოდ დიდი ისტორიული მოვლენაა, რომლის მიღწევას წინ ელობებოდა: თითეული ერის დიდი ისტორიული წარსული, მათი ეროვნული თვისებები, სისხლიანი ომის აჩრდილი... მაგრამ მათხვის არჩევანი აღარ არსებობდა, მათ დაინახეს, რომ თითეული ერი ცალ - ცალკე დაპარაგავდა სუვერენობას, ჩადგებოდა ფინლანდიის მდგომარეობაში, ჩადგებოდა კოლონიალურ მდგომარეობაში, დაპარაგავდა საკუთარ ქვეყნის ინდუსტრიის ნაყოფის გამოყენებას და ა. შ. ამერიკა იძულებული იქნებოდა გასულიყო ევროპიდან; ჩინეთის პოზიციამაც ხელი

შეუწყო ამ გაერთიანების დაჩქარებას. რომელიც დაუინებით უჩევედა ევროპას გაერთიანებისაკენ, არც უკანასკნელის სურვილია რუსეთ - ჩინეთის სამხედრო შეტაკება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მსოფლიო კატასტროფა. ამას, უკანასკნელად დაემატა ევროპისთვის უალრესად მტკიცნეული პრობლემა, ესაა საწვავი მასალის უქონლობა, არაბეთის ქვეყნებისაგან ნავთის მიღების სიძნელი, უმთავრესად მისი უზომძღვრება. ყველა ეს ფაქტორები ქმნან ახლად გაერთიანებულ ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის იმედებს.

გაერთიანებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებაში რომ ევროპის ცხრა სახელმწიფოთა შორის უკვე არსებობდა უმთავრესად ეკონომიკურ ნიადაგზე ე.წ. საერთო ბაზარი....

მიუხედავად ყველა დადებითი ფაქტორებისა სამწუხა- როდ ამ გაერთიანებას თანახლავს ის საშიშროება, რო- მელიც თუ დროებით შენელებული იქნა, ის მაინც არ- სებობს და ძნელი ხდება მისი საესებით მოსპობა. რატომ? ვინ არის ამის შექმნელი და მასაზრიდოებელი? ისევ საპ- ჭოთა რუსეთი, რომელმაც ჩამოაცილა ევროპას მოსკოვი, ლენინგრადი, კარშავა, პრაღა, ბუდაპეშტი. დასავლეთი, თითქოს შეურიგდა იმას რომ „ატლანტიკის ევროპა ურა- ლამდე“ შეუძლებელია.

რამდენი დრო მიღის უფსკრული ლრმავდება დასავ- ლეთ - აღმოსავლეთ შორის, შეურიგდება პირველი იმპს თუ რა ხდება მეორეშში? თუ სტრასბურგში მომხდარი ისტორიული აქტი ნაკრახევია აღმოსავლეთის საშიშ- როებით, ახლანდელ გაერთიანებისთვის იბათება პერს- პექტივები, მისი გავლენით მოსკოვი იძულებული ხახდება აკინის ფართები ასწიოს, გააძლიეროს კულტურული ძალების გაცვლა - გამოცულა. უკანასკნელ წლებში მო- მხდარმა მოვლენებმა დაგვიმტეაცა, რომ მოსკოვი იძუ- ლებული ხდება ანგარიში გაუწიოს დასავლეთის საზო- გადოებრივ აზრის.

მომხდარი ფაქტია, რომ დასავლეთის მშრომელმა მა-  
 სებმა უკუაგდეს ოქტომბრის ილუზიები, მაშასადამე რამ-  
 დენი მეტი სიძლიერით მოხდება დასლოვება, იმდენად  
 მეტად მორალურად აძლიერებს დაწყებულ შინაურ სა-  
 ზოგადოებრივ ანტი საბჭოურ მოძრაობას.

თუ გაერთიანებას სიცოცხლე უწერია, მან უნდა გაა-  
 გრძელოს თავის მუშაობა ამ მიმართულებით.

## I

### შორეულ აღმოსავლეთში

. . . თუ აფრიკაში შესუსტდა ამერიკის გავლენა და  
 მან უსათუოდ დაჰყარგა მნიშვნელოვანი პოზიციები,  
 შორეულ აღმ. ქვეყნებში ამერიკამ ფეხი მაგრად მოიღვა,  
 უმთავრესად, წყნარე აკეანეს მფლობელობაში თანდა-  
 თანობით დამკვიდრდა. მსოფლიო ვითარების ცენტრი  
 სწორედ ამ მხარეში გადავიდა.

იაპონია მესამე ინდუსტრიალური ქვეყანა გახდა.  
 ჩინეთმა გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომლის მთხოვით  
 მისი მცხოვრები 958 მილიონამდე აღწევს, რაც არ უნდა  
 მოხდეს ალასკა კენება ამერიკისათვის ნავთეულობის უმ-  
 თავრესი მიმწოდებელი, აესტრალია საკმაოდ დიდი ერთე-  
 ულია, რომელიც ითვლება ამერიკის მოკავშირედ, ინდო-  
 ნეზის ჰყავს სამჯერ მეტი მცხოვრები ვიდრე საფრან-  
 გეთს ...

ალიასკიდან — ახალ ზელანდიამდე, კალიფორნიი-  
 დან, — კაპიტალისტურ ქვეყნებმდე, შემდეგ სინგაპური  
 ტაივანი, , მალეზია, ჰონგ — კონგი, იაპონიიდან — ინდო-  
 ნეზიამდე, აესტრალიამდე, თუ არ ვილაპარაკებთ ამერი-  
 კის სუეროში მოქცეულ ქვეყნებს, ამერიკის დიდი სამხე-  
 დრო ბაზები აქვს ჰავასში და გუიანაში, რაც გამოხატავს  
 ამერიკის უპირატესობას ზღვაზე. „მოტორი“ თუ შეიძ-  
 ლება ასე ითქვას ამ სახელმწიფოთა დაკავშირების არის  
 ამერიკა და იაპონია, ისინი ახდენენ უშუალო გავლენას  
 მეტ — ნაკლებად თითოეულ ზემოხსენებულ სახელ-

მწიფოზე; ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობა იცავს ამ მხარეში წონასწორობას.

ჩინეთ — რუსთავის ქიშკობაც აძლიერებს ამერიკის პოზიციას, აյი განაცხადა პეკინის წარმომადგენელმა, მას ურჩევნია ფილიპინში და ტაილანდში დარჩებს ამერიკის ჯარებით. ჩინეთ — ამერიკის დაახლოებამ და პეკინის ცნობამ საგრძნობლად გაადიდა ამერიკის გავლენა აზიის ქვეყნებში,

წყნარ ოკინის ნაპირებზე მდებარე ქვეყნების ეკონომიური მდგრამარეობა ძლიერია, რამდენი ღრმა მიღის ისინი კელავ ძლიერდებიან, ოთხი წლის კრიზისი (1974—1978) რომელიც თითქოს ამერიკის „კრიზისი“ ჰქვიან, არ შეეფერება ფაქტიურ სინამდევილეს. გამოქვეყნებულ სტატისტიკიდან აშკარად სჩანს ამერიკის ეკონომიური ექსპანსია, რომ ძლიერდება და მატულობს.

უკანასნელი რვა წლის განძილებე ამერიკა - იაპონიის ინდუსტრიალური ნაყოფი გაიზარდა 20% - ით, თუ მივიღებთ მხედველობაში, საფრანგეთის გავლენის მოსპობას პოლიტიზიაში, აშკარა ხდება იაპონია - ამერიკის სრული გაბატონება წყნარ ოკეანეზე და შენარჩუნება პოლიტიკური გავლენის უველა იმ ქვეყნებზე, რომლებიც მდებარეობენ მის ნაპირებზე .... აქედან იბადება მომავალისათვის მძიმე პერსპექტივები, რაც სამართლიანად აფიქრებს კრემლის ბატონებს ....

### პ. 6.

---

## უგილავას ფანტაზიები

მიმღინარე წლის, უურნალ „ცისკრის“ ნომერში, ბ-ნი უბილავა ათავსებს წერილს შემდეგი სათაურით: „განძეულის გუშაგი“. მასში მოთხრობილია საქართველოს განძეულობის სამშობლოში დაბრუნება.

უველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს ელაქუაციის

დროს, ეროვნულმა მთავრობამ გადასწუყიტა ძირითასი განძეულობა უცხოეთში გადაეხიზნა და სრულიად ნირ-მალური იყო მისი მოვლა-პატრონობა მიენდო პატივცე-მულ მეცნიერისათვის ე. თაყაიშვილისათვის. რა მოხდებოდა, რომ განძეულობა დარჩენილიყო საქართველოში, ვინ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი მსვლელობაში გამხეცებული ჯარისკაცობა მას არ დაიტაცებდა?

ამით გაკეთდა დიდი საქმე. მიუხედავად ამისა, ასტე ხეს განგაში: ნოე უორდანისა მთავრობამ გაიჩაუ განძეულობა და უცხოეთში გაჰყიდათ. როგორც ვიცით ეს ლეგენდა დაარღვია, გააქრო თვით ეროვნული მთავრობის დადგენილებამ; ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით განძეულობა დაბრუნებოდა საქართველოს, რაც დიდი სიფრთხილით შეასრულა ეს პასუხსაგები დავალება მცხოვანმა დიდმა მეცნიერმა და დიდმა პატრიოტმა ექვთიმე თაყაიშვილმა.

კომუნისტურმა პრესამ იარაღი არ დაჰყარა, ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი ახალი თაობა, არ ყოფილიყო ე. თაყაიშვილი განძი დაიღუებდა - ა. უბილავამ გამოაცხო მოთხრობა, და უმთავრესად ე. თაყაიშვილს ყველგან ალპარაკებს ისეთ სიტყვებს, რომ გულუბრყვილო მკითხველთ ეჭვებს დაუბადებს.

ბ-ნ უბილავას შეთხზულ მოთხრობაში, ყველა დიალოგზე ე. თაყაიშვილის ნ. უორდანისათან, მთავრობა და მისი თვემჯდომარის პიროვნება დამკირებულია, რაც შეუძლებელია ექ თაყაიშვილის ნალაპარაკივიდან გამომდინარებდეს.

უბილავა თავისებურად აღწერს თავდაცეის ომის მსელელობას: თითქოს ხალხი და მთავრობაც ვულგრილად უყურებდა ჩეენი თავდაცეის საკითხს. ერთ აღილას, უბილავას სიმართლე წამოცდება და თვით ანიავებს იმ ლეგენდას, თითქოს ბრძოლებს არ ქონებია აღგილი, ან კიდევ რა მდგომარეობაში იყო საქართველო იმ დროს. ის ამბობს:

„მენშევიკური საქართველო მოწყვდეული აღმოჩნდა, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომეთა რესპუბლიკებთა ჩა-ლშიო. რუსეთის ქვეშ მოქცეულია მთელი ჩრდილო-კავკასია. მიუხედავად ყყელა ამსა, უორდანის მთავ-რობა იხტიბარს არ იტეხსო. — რას ნიშნავს ეს, თუ არა მთერობის და ხალხის რავგანწირულ ბრძოლას? — მარ-ტო მოღალატე ლლონტი ურჩევდა მთავრობას დაეყარა იარაღი.

უბილავას, რომ დაუჯეროთ, მენშევიკების უილაჯობას უპირისპირდებოდა ბოლშევიკური რაზმები გარე უბნე-ბში. ტყუილია! როცა რუსის ჯარი თბილისისაკენ მოი-წევდა გარე უბნებში სრული სიწყნარე იყო, არც ერთი თოფუ არ გასროლილა ფრონტის ზურგის უკან.

გავიხსენთ აგრეთვე მე-11 არმიის სამხედრო ურნა-ლის განცხადება: „ქართველები მამაცურად იბრძოდენ, ულელტეხილზე დიდი ბრძოლები გადავიტნეოთ“.

როცა თათრები ბათომში თარეშობდენ, ნ. უორდანიამ იხმო მაზნიაშეილი და წულუკიძე და დაავალა მათ ბათუ-მიდან თათრების განდევნა, რაც შესრულებული იქმნა. უბილავა სერიოუა ქავთარაძეს აწერს თათრების გახდე-ნის ინიციატივას!“

#### ა. შადრიძე.

(გაგრძელება იქნება)

### ჩართველები რუსეთში

გარუსებისთვის, ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ქართველების რუსეთში „ნებაყოფლობით“ გადასახლება. მრავალ მაგალითთა შორის აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს დამახასიათებელს:

სადღაც ხაბაროქვის მხარეში მდებარეობს დაბა ვანი-ნო, რომლის მომხიბლავი ბუნების ამბავი სმენიათ ქარ-თველი ახალგაზრდობის ერთს ჯგუფს, მათ შორის, არის ცოლქმარი გოგიჩაიშვილები. ვანინოში მიდის დიდი აღმ-შენებლობა. გოგიჩაიშვილები თხოულობენ იქ წასევლას.,

მათი თხოვნა შესრულებული იქნა, საბჭოთა ცნობების თანახმად ცოლქმარმა გადაქარბებულად შეასრულეს გეგ-მები. მათ შეეძინათ ქალ - ვაჟი, ქალიშვლი ნინო ათავებს სასწავლებელს, ცხადია რუსულ ენაზე. ცოლად მიჰყვება ვინმე რუს დამოკის, იქ დაბადებული ქალ - ვაჟი ისე შეე-ჩვიენ იქაურობას, რომ საქართველოში წასვლა და მისი ნახვაც კი არ სურთ. ზემო ხსენებული ამბავი აღწერილია ურნალ „საქართველო - ს ქალში“. რედაქტია აღფრთო-ვანებულია გოგიჩიაშვილების მოქმედებით.

ჩვენ ერთი მაგალითი მოვიყენეთ, ათასეულებია გაპ-ნეული რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში.

უცხოეთში სამუშაოდ წასვლა არაა საძრახისი რომ მას სარჩულად არ ედოს გარუსება.

განა რუსეთს მუშა - ხელი აკლია? განა თვით საბჭოთა პრესა არ აღნიშნავს „სოფელი იულებაო“?

ათასობით ახალგაზრდობა იზრდება რუსულ ენაზე და აი ამ დროს საფრანგეთში ჩამოდიან კომუნისტური ხელი-სუფლების ემისარები და გვეუბნებიან, თქვენი ახალგაზრ-დობა, რომ არ გადაგდარდეს ამიტომ ჩამოვედით და ქარ-თული სახელმძღვანელოები ჩამოეიტანეთო. მაღლობის მეტი, რა გვეთქმის, მაგრამ უფრო დიდ საქმეს გააკეთე-ბდნენ, რომ რუსეთში გაფანტულ ბაეშვებისთვის ეზრუ-ნად. არც ერთი ახალგაზრდა არ არის უცხოეთში, რომ ქართველობით არ ამაყობდეს, გასაგებია ენის მხრივ მოი-კოჭლებენ, ამისათვისაც შესაძლებობის ფარგლებში ზრუ-ნვა სწაროებს. დასასრულს გაკვირვება უნდა გამოისწე-ვათ; „საქართველოს ქალი“ - ს საქციელით, მაგრამ სანუგეშო ის არის, რომ ენას იცავს თვით მოწაფეობა და მწერლობა.

**XX**

### მიხეილ ქავთარაძის წერილის გამო.

(იხ. „ივერია“-ს უკანას. ნომერი.)

საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის საზ-ლვარგარეთელმა ბიურომ მიიღო მიხეილ ქავთარაძის წე-რილი. ბიურო არ შედის მასთან კამათში, ხოლო ის გვთ-

ხოვს: გამოქვეყნებული იქმნეს ეს მისი წერილ-განცხადება ჩვენს უურნალში. რასაც ვასრულებთ:

2 ივნისი 1979 წ.

საქართველოს სოც. დემ. საზღვარგარეთელ ბიუროს.  
გაახლებთ ჩემ წერილ — განცხადებას და გთხოვთ იგი  
გამოქვეყნოთ ოქვენს მორიგ გამოცემაში.

„ჩემთვის ძლიერ სამწუხაროა ის რეაქცია, რომელიც  
ივერიის უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულმა ჩემმა  
წერილმა გამოიწვია.

მე უკან მიმაჯეს, უმთავრესად წერილის ბოლოში, მოყვანილი ყველა გამოთქმა, რომელიც შეიძლება სარქაზ-მათ იქნეს მიჩნეული. და ბოლიშს ციხი ყვლას წინაშე ვისაც უნებურად ტკივილი მივაყენე.

ეს თუ მოხდა ამის მიზეზი ის არის, რომ წერილის გამომწვევში ინციდენტმა მე თვითონ მომაყენა ღრმა ტკივილი და იგი განვიტადვ როგორც ხელისკერა. მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ჩემი წერილი სხვებმა ასევე ხელისკერად განიცადეს — როცა სრულიად არ შეადგენდა ჩემს მიზანს. ჩემი მიზანი იყო მოწინააღმდეგებო დარწმუნება. იმ გამოთქმებმა კი, რომელნიც სრულებით არ იყვნენ აუცილებელნი, საწინააღმდეგო შედეგი მოიტანა, რისთვისაც გულწრფელად ვწუხვირ.“

პატივისცემით მიხეილ ქავთარაძე

— : —

ჩვენ კი იძულებული ეხდებით ქავთარაძის წერილიდან მოვიყვანოთ ის აღილები, რომლებიც შეურაცხოფას აყენებენ მამებსა და ერს. ჩვენ გვერდს უვლით სოც. დემ. პარტიის გაბატებას, დარჩენილი თაობის დაცინვას. როგორც პატივცემული პრ. ნაკაშიძე გერმას: „საბრალმდებულო სკოლები დასმული არა პარტია, არამედ მოული ერი“ - ი.

აი ქავთარაძის სიტყვები:

„ჩვენმა მამა-პაპათა თაობამ, მთლიანად აღებულმა, უპატივებელი დანაშაული ჩაიდინა, მათ ხელიდან გაუშვეს

შემთხვევა, რომელსაც ქვეყანა ერთი საუკუნე ელოდა, ისინი ვერ აღმოჩნდენ საჭირო სიმაღლეზე, რომ ქვეყნისათვის მოევლოთ და უარეს ჭირსა და განსაცდელში ჩა-გდეს. რაც გვჭირს ჩვენი მამების ბრალია.“

ისინი გაიგებენ, — სწერს ქავთარაძე (იგულისხმება მყელევარნი.), თუ როგორ სამარტინოთ დაპეარგეს ჩვენმა მამებმა სამარტინოდ გამოცხადებული დამოუკიდებლობა.“

შემდგე: „60 წლის წინად, ქართველი ერი რაღაც საშინ-ელი სენით ყოფილა შეპყრობილი, რომელსაც მისთვის წაურთმევა ელემენტარული ბიოლოგიური თვისებები“ ერის ასეთ შეურაცხყფას არაოდეს ადგილი არ ჰქონებია ჩვენს ისტორიაში. ჩვენ ვაცნობეთ ბატონ ქავთარაძეს უკან წაეღო ერისა და მამების შეურაცხმყოფელი სიტყვები. ქავთარაძემ ეს არ მოისურვა.

ეს სჭირდება დღეს ეს, როცა ბრძოლების პროცესში ვიძულდებით, თუ არა დამოუკიდებლობის მტრებს, რომ-ლებიც ცდილობენ ახალ თაობებს დამოუკიდებლობის ხანა შეაძლონ.

აწ მკითხველმა განსაჯოს.

**პროფ. გ. ნაკაშიძის წერილი.**

ვაძლევთ საშუალებას, ჩვენი მოძმე პარტიის, სოც.-ფედე-რალისტების თვალსაჩინო წევრს პროფ. ნაკაშიძეს გამოს-თქვას თავისი აზრი. ზოგიერთ მის მოსაზრებებს რედაქ-ცია ვერ გაიზიარებს.

— — — — —

30—7—1979

**პატივუემულო ბატონო!**

გუშინ გაღმომცეს თქვენი წერილი საქართველოს სოც-იალ - დემოკრატიული საზღვარგარეთელ ბიუროსი. მოი-თხოვთ საქართველო პასუხის გაცემას აღძრულ საკითხზე და მეც მეტად აჩქარებულად გიგზავნით ამ ჩემს აჩქარებულად დაწერილ პასუხს.

უპირველესად ყოვლისა უნდა გაცნობოთ, რომ მე არა-  
ვარ საქართველოს სოციალ - ფედერალისტური პარტიის  
წარმომადგენელი უცხოეთში. ასეთად ითვლება ბატონი  
ნიკო ურუშაძე, მაშასადამე ჩემი წერილი წარმოადგენს  
მხოლოდ ჩემს პირად კერძო აზრს.

უნდა მოგახსენოთ შემდეგი: დღიდან საქართველოს  
დაპყრობისა მე პირადად მიუღებლად მიმაჩნდა დამოუკ-  
ედებლობის დროს არსებული დემოკრატიული პარტიების  
ბის ურთიერთშორის ბრძოლა, ძევლი ანგარიშების გას-  
წორება. მთელი ჩემი არსებით საერთო ფრონტის შექმნის  
მომხრე ვიყავი. ამიტომაც იყო, რომ დაპყრობილ საქარ-  
თველოში ყოფნისას, არასოდეს არ გამოესულვარ რო-  
მელიმე საქართველოს დამოუკედებლობის დამცველი  
პარტიის წინააღმდეგ; უცხოეთში გადმოსახლების შემდეგ,  
ჩემს მიერ მიღებული კადაწყვეტილება მით უფრო კატე-  
გორიული შეიქმნა. უცხოეთში, 57 წლის განმავლობაში,  
არც წერილობით და არც საჯაროდ წარმოთქმულ სიტყ-  
ვებში, მე არსად არ ვაკლაშქრებულვარ რომელიმე, სა-  
ქართველოს დამოუკედებლობის დამცველი პარტიის წი-  
ნააღმდეგ, და შეიძლება ვთქვა, რომ ერთადერთი, ჩემი  
პარტიის დავალბით, გამოსვლა იყო ნოე ასმიშვილის და-  
საფლავების დროს წარმოთქმული სიტყვა.

თვითანკვე ვიყავი ერთგული მომხრე საქართველოს  
დამოუკედებლობის ეთადერთი გადარჩენილი ატრაბუტ-  
ებლობისა უცხოეთში, და დამზ. კრების დადგენილებით  
წამოსული მთავრობისა, არა იმიტომ, რომ ის სოც.დემო-  
კრატებისაგან შედგებოდა, არმედ მხოლოდ და მხოლოდ  
იმიტომ, რომ ის მთავრობა წარმოადგენდა ჩემი ერის  
დამოუკედებლობის სიმბოლოს.

აქედან თქვენ შეგიძლიათ ის დასკვნა გამოიტანოთ,  
რომ მე ვერ ვაკიზიარებ ბ. მ. ქავთარაძის შეხედულებას  
როდესაც ის არამცუ მმართველ პარტიას, არამედ მთელ  
ერს საბრალმდებულო სკამზე სკამს.

ცხადია აქ მე ვეყრდნობი მისი დაბეჭდილი წერილი  
დან, თქვენს მიერ მოტანილ ამონაწერებს, ვინაიდან მე



თვით „ივერია“ არ წამიკითხავს, ბ - ნ მ. ქავთარაძეს არ გიცნობ, წამიკითხავს ზოგი რამ მის მიერ ამა თუ იმ ქართულ უურნალ - გაზეთში მოთავსებული, და ყოველთვის ის შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ბ-ი ქავთარაძე მეტად ნიჭიერი პუბლიცისტი და გულწრფელი ქართველი მამულიშვილია.

არ ვიცი რამდენი წლისაა ბ. მ. ქავთარაძე და თუ შეიძლება ჩევთვალო „მამათა“ რიცხვში? ერთი რამ, როგორც იმ ეპოქის და იმ „მამების“ თანამედროვესა და უშუალოდ მნახველს, შემძლია კატეგორიულად განვაცხადო, რომ იშვიათად ქართველი ერი, მთლიანად აღმული მდგარიყო ისეთ სიმალეზე, დინამიზმით და იდეალიზმით აღსავს — გატაცებული, როგორც ეს იყო „მამების“ დროს. „სამარტვინო პირობებში გამოცემებული დამოუკიდებლობა“ მოხდა უდიდეს ტრაგედიულ, კატასტროფიულ პირობებში, რომლის წარმოშობა განვითარებაში ქართველ ერს არავითარი ბრალი არ მიგანვითარებაში ქართველ ერს არავითარი ბრალი არ მისაზღვრებში შემოჭრა, ჩრთილოეთიდან ბოლშევიკური საფრთხე, სომებს - ადერბეიჯანელთა შორის ბაქოში ატებილი ხოცა — ულეტა, ყველასაგან მივიწყებულ მიტოვებული ქართველი ერი ყოფნა - არ ყოფნის საკითხის წინაშე იყო დამდგარი და ჩემი პირადი აზრით, შესანიშნავი გამოსავალი გამონახა — დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

მაშინ როდესაც რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, მამები და ძმები ერთმანეთს დაუნიდობლად ხოცავდნენ, დამოუკიდებელ საქართველოში მშეიდობიანობა, წესრიგი იყო დამყარებული და გარდა პოლიტიკური პარტიების მიერ გამართული კამათ - შეჯიბრებისა, (რაც დამახასიათებელია ყოველი დემოკრატიული წესწყობილებისა). თითქმის არავითარ, ოდნავად მნიშვნელოვან გამოსვლებს ადგილი არ ჰქონდა.

გამარჯვებულმა დიადმა ანტანტამ ნაცვლად დახმარებისა თავიდანვე აგვითვალწუნა და შეგვიძულა მხლოდ იმიტომ, რომ არ დავემორჩილეთ მის ბრძანებას და გენ. დენიკინი არ გავიხადეთ ჩემს ბატონ - პატრიონად.

დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, საქართველო ცდილობდა საერთაშორისო თანაგრძნობის მოპოებას, მისი დამოუკიდებლობის ცნობას. პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარებას, რამდენი დელეგაცია გაიგზავნა ევროპა - ამერიკაში, რამდენი ვრცელი, დასაბუთებული ისტორიულ ცეკვის მიური ხასიათის მოხსენება იყო წარდგენილი ვერსალის კონფ. რენციის, დიდი ანტანტის საბჭოს და გამარჯვებული ქვეყნების მთავრობების წინაშე, ამის ჩამოთვლა პირდაპირ შეუძლებელია. სწორი გამოდგა ცნობილი თქმულება. „დრონ მეფობენ და არა მეფენიონ“. ეს ის დრო იყო, როდესაც ძლიერნი ამა ქვეყნისა, ევროპა და ამერიკა, მხოლოდ ერთერთი ამოცანა - მიზნით იყვნენ გატაცებულ - შეპყრობილნი: „მთლიანი, განუყოფელი რუსეთის აღდგენა“, და რაღაც აზერბეიჯანის და საქართველოს სახელის გაგონებაც კი არ სურდათ (გავიხსნოთ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰევარიჯ კოლმის წერილ - პასუხი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის გრაფ სფორცას მიმართვის გამო დაწერილი).

როდესაც ბოლშევიკებმა გაანადგურეს კოლჩაქ - იუდენინ - დენიინ - ვრანგელის ჯარები, შეესივნენ ჩრდილოეთ კავკასიას და ერთი თოფის გაუსროლელად დათვალისწილების მთელი აღერბეიჯანი და თვით ჩვენი ქვეყნის საზღვრების გადალახვაც კი სცადეს 1920 წლის აპრილ - მაისის თვეებში საქართველომ უკვე მაშინ იცოდა, რომ „თავდასხმა მოსალოდნელი, ლოდიკური და აუცილებელი იყო“.

მერე რა! არ გადადგა ნაბიჯი, არ მიიღო შესაფერი ზომები მთავრობამ ამ საფრთხის თავიდან ასაშორელბად? არამცუ გადადგა, არამედ წლეების განმავლობაში აფავნიდა მინისტრებს და გენერლებს ინგლისელების, ფრანგების, იტალიელების და სხვათა წინაშე, რათა მოყიდათ მათ ჩვენთვის სამხედრო იარალი თავის დასაცავად, მაგრამ ყოველივე ცდა ყოვლად უშედეგო გამოდგა.

1920 წელს ნოემბერში ოსმალეთმა და რუსეთმა დაიპყრეს და გაიყენეს სომხეთი, ის ქვეყანა, რომელიც უდიდესი თუ აგრძნობა - სიყვარულით სარგებლობდა ამერიკა - ევროპაში. ამავე თვეს ლოიდ ჯორჯმა დაღო ხელშეკრულება კრასინთან და გამოაცხადა კავკასიის საკითხში სრულ „გულგრილობა - ნეიტრალობა“ და გაუსნა გზა ბოლშევკიებს საქართველოს დასაპყრობად.

ჩემის იზრით არც ერთი, არც ნთავრობა და არც მხედრობა არ იყვნენ დამნაშავენი ჩვენი ქვეყნის დამარცხებაში. ჩვენ გაეხდით მსხვერპლი იმ ღრონიდელი საერთაშორისო მდგომარეობა - სულისკვეთებისა. წაგვინებად მიღებულ იურიდიულ ცნობას ატანტის მიერ. მხოლოდ სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდა. რეალური იყო: ჩრთილოეთიდან, უკვე ყოველგვარ ფრონტს მოკლებული, რუსი ბოლშევკიების ჯარების შემოსევა და სამხრეთიდან, ოსმალეთის მიერ ტერიტორიალური მოთხოვნილების წამოყენება.

პირველ ხანებში „მამები“ გმირულად იბრძოდნენ, საკმარისია მოგონება სოლანლულის, ტაბახმელა რ კოჯორის მალლობზე გამართულ ბრძოლებისა, მაგრამ როდესაც მიხვდნენ, გაიგეს რომ საქმე აქვთ არა მეზობლებთან არამედ მთელ რუსეთთან და ოსმალეთთან, ცხადია იჩინა თავი უიმედობაშ. რატომ მიუთხოვოთ ქართველების იმაზე მეტი, რაც სხვა ერმა, ასჯერ - ათასჯერ უფრო ძლიერმა, თავიდან ფეხებამდე დიდებულად შეიარაღებულმა, ცერ გამოიჩინა. არა არ ვეთანხმები ბატონ მ. ქავთარაძის შეფასბა - დახასიათებას „მამების“ მოქმედება - ლირსებისა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბ - ნ ქავთარაძის მიერ გამოთქმული აზრი, სულ სხვაგვარად დასაბუთებული, დასაგმობად მიმაჩნდეს, ჩვენ ხომ დემოკრატიული პრინციპების გომისრენი ვართ და ამ პრინციპების მიხედვით ყოველ აღამიანს აქვს უფლება ამა თუ იმ საგანზე თავის აზრი გამოთქმას.

თუ ქართველი ერის სულის მესა-დუმლე - თაყვანის-  
გურელს შეეძლო წამოეძახა „ფურტხის ღისი ხარ, შენ  
საქართველო! ...“ რატომ არ შეუძლია ერის უბედობით  
დაჩაგრულს, ემიგრაციის უნუგეშო პირობებით დატან-  
ჯულ - გამწარებულს, გ. მ. ქაფარაძეს, კრიტიკის ქარ-  
ცეცხლში გაატაროს იმ „მამების“ მოქმედება, რომლებმაც  
შვილებს ასეთი მძიმე მოვალეობა დაუტოვეს. სულ სხვა  
საკითხია „მამების“ მოქმედება იმსახურებს თუ არა ასეთ  
დაუნდობეო კრიტიკას. დედე ეს მომავალმა მიუდგომელ-  
მა თაობამ გამოარკვიოს.

დღეს ეკრანა - ამერიკა არამც თუ ისტორიულ ერს,  
არამედ უცნობ, უმნიშვნელო ტომსაც კი უხვად ანიჭებს  
თავის უფლება - დამოუკიდებლობას, ვიქონიოთ იმედი,  
რომ ტოტალიტარული რუსეთი იძულებული იქნება გაჰ-  
ყვეს ამ გზას და თავისუფლება მიანიჭოს მის იმპე-  
რიაში შემავალ დაჩაგრულ ერებს... „დრონი მეფობენ.“

დიდ ბოლიშს ეიტდი ბატონი, რომ ამდენი დრო წაგარ-  
თვით, თქვენს მიერ უკვე დიდგნის კარგად ცნობილი  
ფაქტების ჩამოთვლით და გთხოვთ, ეს ჩემი კერძო  
აზრი მოასხენოთ პატივუმულ საქ. სოც. - დემოკრატი-  
ულ პარტიის ბიუროს.

ყოველივე კარგი სურვილებით თქვენი

გიორგი ნაკაშიძე.

**მანაწერი:** ამ წერილის ასლს ვუგზაუნი სოც -ფედ, პარ-  
ტიის ოფიციალურ წარმომადგენელს ბატონ ნიკო  
ურუ-შაძეს.

## 26 მაისი პარიზში

მიმდინარე წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი განსაკუთრებული ბრწყინვალებით ჩატარდა. პარიზის მეთოთხმეტე უბნის მერიის შენობის დარბაზში, მრავალ რიცხოვდან საზოგადოების წინაშე, საწევის სხდომაა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარებ ვიქტორ ემერიკმა და ამ დღის შესაფერი სიტყვით მიმართა დასწრე საზოგადოებას. ქართულმა მომღერალმა გუნდმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი „დიდება“ და ფრანგულად „მარსელიეზა“.

უკრანენელების წარმომადგენელმა მიულოცა დამსწრე ქართველობას ეროვნული დღესასწაული და უსურეა მათ სამშობლო მალე განთავისუფლება უცხო მპყრობელი-საგან. საფრანგეთში სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილემ ტარიელ ზურაბიშვილმა ფრანგულ ენაზე წარმოთქმა შინაარსიანი სიტყვა, ორატორი მხურვალე ტაშის ცემით იქნა დაჯილდოებული. ცნობილი არტისტი ეთერი ფალვა აძლევდა განმარტებებს ქართულ ცეკვებს.

საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ორ, ქართულ ტანთსაცმელში მორთელ მცირე წლოვან ბავშვებს, მათმა ცეკვამ მოხიბლა დამსწრენი, მოცეკვავეთა ჯგუფის შესანიშნავი მიღწევები მიეკუთხნება აღმოსავლეთ ცეკვების ცნობილ მასწავლებელს შოთა აბაშიძეს.

## სოჭოში

26 მაისი სოჭოში ბრწყინვალედ ჩატარდა.

სათვისტომოს ბინაზე საზეიმო სხდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარებ გრ. ქვარცხავებმ. დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით შეასრულა ეროვნული ჰიმნი „დიდება“

სტუმრად მიწვეული პავლე სარჯველაძე ამბობს სიტყვას, რომელიც მოკლეთ ეხება საერთოშორისო მდგომარეობას და ითვალისწინებს პერსპექტივებს. სიტყვებით

გამოვიდნენ: ილ. სალუქევაძე, ბ. ჭავიაშვილი, შ. ზედგენიძე, დუიშვილი და სხვები ...

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიშალა ქართული ტრადიციული სუფრა. სუფრის თამაღამ ბაგრატ ჭავიაშვილმა თავისი მოხდენილი თამაღობით, ჩაატარა ზეიმი. წარმოითქვა სადღეგრძელობი ქართველი ერის

პარიზიდან ჩამოსულმა ბატონმა შოთა აბაზიძემ იცეკვა ქალბატონ დუიშვილთან. ამ უქმო ტომია მანდილონსანმა, ქართული სიმღერით და ცეკვით მოხიბლა საზოგადოება. შემდეგ ბატონ ბ. ჭავიაშვილის მეულემ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება „სულიკოს“ და სხვა ქართული სიმღერებით სოშოში მცხოვრები, უმთავრესად გამარჯვებისათვის. ფეხზე აღვიმით და პატივისცემით დაილია მებრძოლთა მოსაგონარი, რომლებმაც თავი შესწირეს ეროვნულ თავისუფლების დაცვას.

ძველი მებრძოლინი, სამშობლოს თავისუფლების აღდგენის იმედსა და რწმენას არ კარგავენ. თითოეულის სიტყვა იყო არა სუფრასთხ მოვალეობის ასრულებისათვის წარმოთქმული, არამედ გულის სილრმიდან ამოხეთქილი სამშობლოს სიყვარულით გამობარი, მისი ერთგულობის სიყვარულით გამობარი, მისი ერთგულების გრძნობებით გაელვებული.

დასასრულს ქართველი გოგონა, თითოეულ დამსწრეს მკერდს უმშვენებდა საგანგებოდ გაკეთებული სამფეროვანი დროშით.

### გარემონტირებული გარდაცვალება

18 წლის მარტიანე რესის ჯარში გაწვეული, ძლივს ასწრებს სამხედრო წესების შესწავლას, რომ რომანოვების იმპერია ირლვევა და საქართველო აღსდგება. ის ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს დამცემ ჯარშია და სხვადასხვა ფრონტზე იბრძვის.

საოცუპაციო არმიების შემოსევის უამს კი, იმათ შორისაა, ვინც ეროვნულ მთავრობას უცხოეთში გაჰყვება. პარიზში „ტაქსისტად“ ეწყობა და ამ ხელობაზე თავის სამუშაო წლებს გაატარებს. 57 წელი პარიზში მკვიდრია, და მხურებალე მონაწილეა ჩვენი ემიგრანტული ცხოვრების სათვასტომოში, სოციალ დემოკრატიული პარტიაში კერძო ოჯახებში თუ მეგობრებში, იგი სამაგალითო ადამიანია. მისი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ქველმოწედებას ეწირება. სწუხს, როცა სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს ლარიბად ხედავს და მათ სისტემატიურად ეხმარება, ავადმყოფი თანამებამულებიც არ გამოეპარება — მათ სასთუმალთან გაჩნდება, ხელს უწყობს და ამბევებს ....

პარიზის სოც - დემოკრატიული მთლიანი ორგანიზაციის კომიტეტის თითქმის მუდმივი წევრია, სადაც ის. წერეთლის ტენდენციას იცავს. ირაკლის საგნობრივი ლოგიკით გამართული სიტყვა პასუხი წყველას გვეხიბლავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი მარტიანეს აჯადოებდა - ამ დიდებული ქართველის აზრი და საქმე მას ჩატარებული გატაცებით სწამდა.

მარტიანე დაჯილდოებული იყო ადამიანური ეთიკით და ქართული ზნეობისა და ზრდილობის მუდამ მაღალ საფეხურზე მდგომი, იყო სუფთა, ფაქიზი და პატიოსანი პიროვნება. ეს ლირსებები მას შშობლების ოჯახში ჰქონდა შეძენილი, სადაც თორმეტი დაძმა ალვის ხეებივთ გაიზარდებ და ალიზარდენ სამშობლოს სიყვარულსა და ადამიანების პატივისცემაში. ამათვან ზოგი იმპრატორის ჯანდარმერიამ ცმბირში გადაჰქარგა, ზოგსაც გეპეუმ მიჰყო ხელი. ყველაზე ტრაგიკული უმცროსი ძმის ვანოს ბედია — ეს ბრგე და ახოვანი ვაჟკაცი, მონაწილე აგვისტოს აჯანყებისა, ჯერ შეირიგეს, შემდეგ დაიჭირეს და ციმბირში უსაშინალეს პირობებში ცალი ფეხი გაეყინა. ბოლოს დაცალფეხებული და დასნეულებული სახლში დააბრუნეს, სადაც წამებაში სული დალია. ამათ რიცხვს, დღეს მარტიანეც მიემატა და ქართულად ნაშენ - ნაგები დიდი ოჯახი ასე დაინგრა ...

მარტიანე მოხუცებულობაში ფიზიკურად დასუსტდა, მოტყდა, მგრამ მისი სულიერი სიმშენიერებული არ ვატე.. ხილა. როგორც მუდამ ახლაც ზეპირად იმეორებდა ქართველ პატრიოტი პოეტების ლექსებსა და პოემებს და ამითი იყლავდა სამშობლოს სიყვარულის სურვილს. ჩვენდა საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეგობრების მომ-კლელი ხელი არ მოკლებია, განსაკუთრებულ მზრუნველობას ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე ვ. ხომერივი უწევდა. ამ პატივუებულმა აღამიანმა მას ჩვენი სინამული და პატივისცემა გაატანა.

ისიც განცალკავებულად უნდა ითქვას, რომ ყველა ქართველ აეაღმყოფან ძმური სითბოსა და იმედების მიმტანმა ბატონმა შოთა აბაშიძემ მას დაუფასებელი ამაგი დასდო.

მარტიანე მგელაძე 81 წლის ასაკში მოგვშორდა და მოგწმორდა სამშობლოსთან და თანამებრძოლებთან ვალ მოხდილი....

შვეიცარიანი ძვირფასო ამხანაგო, საუკუნოთ იყოს ხეენება შენი.

მისიან შელუა მაისი 1979 წ.

ლ ი დ ა ლ ი ნ დ უ ა ს დასაფლავება.

10 აგვისტოს 1979, ლევილის ძმათა სასაფლაოზე დასაფლავებული იქმნა, ჩვენს სათვისტომოში დიდად პატივუებული ქართული ოჯახის სამაგალითო დედა ლიდა დონდუასი. ამ ლირსეული ქარველი მანდილოსნის დასაფლავებას დაესწრო მრავალი ქართველობა. დეკანოზმა ილიამ აუგო წესი და წარმოსთქვა მეტად გრძნობიარე სიტყვა მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად. „ჩვენი ღრმაშა“ს რედაქცია გულწრფელად იზიარებს

„ერისთავის გვარის გულწრფელად იზიარებს

## გარღაიცვალენ

1979 წ. 1 ივნისს ლევილის სასაფლაოზე დასაფლავებ-  
ბული იქმნა ქ-ნი ჟოზეფინა სკამპოჩაიშვილი.

29 ივნისს, ლავილის ძმათა სასაფლაოს მიეაბარეთ  
ვალიურ ჭილიძე, სოც.-დამოკ. პარტიის და ცრონული  
საქმის ერთგული მებრძოლი.

18 ივლისს 1979 წ. ლევილის სასაფლაოზე დასაფლა-  
ვებული იქმნა ქ-ნი კლერ გიორგაძესი.

27 აგვისტოს 1979 წ. ლოვილის სასაფლაოს მიეაბარეთ  
გ. ჯავახიშვილის ნეშტი ინგლისიდან გადმოსევენებული.

---

## ვ რ ნ დ ი

ორი ნომრისათვის.

ის. გაუნია 400ფტ. ნათელა უორდანია 300; ნუკა რამიშ-  
ვილი 300; კ. ინასარიძე 200; ჯამლეთ გვაზავა; დედის—  
ქ-ნ ნინოს ხსოვნის ალანიშნავად 150; მეოთხელი 150;  
—სოშოს სათვისტომოლან 200 ფტ.

ბარკალაია, ა.კ. შავგულიძე, გ. ბოლქვაძე, პ.რ. ინწყირტ  
ველი—მარტ.იანე მგელაძის ხსოვნისათვის; მევობარი, გ.  
ქვარცხავა დ. ქიმერიძე, მ. გაფრინდაშვილი, მართა სტუ-  
რუა — მამის, ე. გეგექეორის ხსოვნის ხლსანიშნავად, მ.  
ბერიშვილი, დ. ვაშაძე, — თითომ — 100ფ. რ. გოგიტიძე  
ნიკ. ანთაძე, ლ. ფალავა, პ. ს. ილიკო სალუქვაძე, კოსტა  
გუნია, კვირისი ჩხაიძე, — თითომ — 50 ფტ.

### „საზისრო პოეზია“

ამ სათაურით გამოვიდა იჩინე და გიორგი ყიფიანის ლექ-  
სთა კრებული ქართულ და ფრანგულ ენაზე. ამ ლამაზად  
და მდიდრულად გამოცემული წიგნის გარჩევა იქნება  
შემდეგ ნომერში.

გვთხოვთ გამოვაცხადოთ, რომ გრძელდება შემოწი-  
რულების მიღება უკანასკნელ ომში დალუპულ მეომარ-  
თა ხსოვნის აღსანიშნავად ძეგლის დასადგამად.

G. VATCHNADZÉ  
6, square de Alboni, Paris-16°  
Tél. 870-80-44.

7125/244

2029



Gérant : Pr. Intskirvefi.

Imprimerie Coopérative Arpajonaise  
95, Grande-Rue — 912190 ARPAJON

Hors commerce

9 - 897